

## თავი 24

მარაგის, დებიტორების, კრედიტორებისა და ფულადი სახსრების მართვა

**1. მარაგის მართვის სისტემებიდან ცნობილია:**

- ა) ერთბუნკერიანი სისტემა;
- ბ) სამბუნკერიანი სისტემა;
- გ) ორივე მათგანი.

**2. მარაგის კონტროლის დონეებია:**

- ა) მარაგის მაქსიმალური დონე;
- ბ) მარაგის მინიმალური დონე;
- გ) ორივე მათგანი.

**3. თუ შესაძლებელია მარაგის დაბალი დონის შენარჩუნება, რადგანაც არის საშუალება, შეკვეთა გაიცეს მაშინვე, როგორც კი მარაგი დაეცემა უმცირეს დონეზე – ეს მდგომარეობა მიუთითებს:**

- ა) ბუნკერული სისტემის უპირატესობას;
- ბ) პერიოდული დაკვირვების სისტემის უპირატესობას;
- გ) არცერთ მათგანს.

**4. დამატებითი ღირებულების არმომტანი დანახარჯების მაგალითებია:**

- ა) ნედლეულის მარაგი;
- ბ) დაუმთავრებელი წარმოების მარაგი;
- გ) ორივე მათგანი.

**5. ბუფერული მარაგის დონე დამოკიდებულია:**

- ა) დეფიციტის ღირებულებაზე;
- ბ) მოთხოვნის ღირებულებაზე;
- გ) ორივე მათგანზე.

**6. მართვა, რომელიც მოიცავს: საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებას, შესაბამისად განხორციელებას და უწყვეტად გაკონტროლებას, არის:**

- ა) დებიტორების მართვა;
- ბ) კრედიტორების მართვა;
- გ) ფულის მართვა.

**7. საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება გულისხმობს:**

- ა) კრედიტის ზღვრული დონის კონტროლს;
- ბ) კლიენტის გადახდისუნარიანობის დადგენას;
- გ) ორივე მათგანს.

**8. კომპანიის ვალების ამოღებაზე პასუხისმგებლობის გადაცემა სხვა დამოუკიდებელ, სპეციალიზირებულ დაწესებულებაზე – განიხილება, როგორც:**

- ა) ვალების ფაქტორინგი;
- ბ) ანგარიშფაქტურების დისკონტირება;

გ) არც ერთი მათგანი.

**9. სავაჭრო კრედიტის ღირებულება იზომება:**

- ა) ბანკის სესხის პროცენტის მიხედვით;
- ბ) ხელიდან გაშვებული შეღავათის სიდიდით;
- გ) ოვერდრაფტზე პროცენტის მიხედვით.

**10. საექსპორტო კრედიტის რისკს მიეკუთვნება:**

- ა) კლიენტის ვალუტის არაკონვერტირებადობა;
- ბ) პოლიტიკური რისკი;
- გ) ორივე მათგანი.

**11. უცხოური ვალუტით ანგარიშსწორების შიდა რისკის მართვის მეთოდს წარმოადგენს:**

- ა) ლიდინგი;
- ბ) მეჩინგი;
- გ) ორივე.

**12. ფულადი სახსრების მართვა გულისხმობს:**

- ა) მოკლევადიანი ინვესტიციების მართვას;
- ბ) ფულადი სახსრების ბიუჯეტის მომზადებას;
- გ) ორივეს.

**13. საბანკო ოვერდრაფტის უპირატესობაა:**

- ა) სიიაფე;
- ბ) პროცენტის განაკვეთის ცვალებადობა;
- გ) გრძელვადიანობა.

**14. ნამეტი ფულადი სახსრების ინვესტირებისას გათვალისწინებული უნდა იქნას:**

- ა) ლიკვიდურობა და უსაფრთხოება;
- ბ) უსაფრთხოება და მოგებიანობა;
- გ) ორივე მათგანი.

**15. თუ კომპანია ფულად სახსრებს ინახავს, რათა გამოყენებული იქნეს მოულოდნელი ბიზნეს და საინვესტიციო შესაძლებლობების გამოჩენისას, ეს ნიშნავს, რომ კომპანიას აქვს:**

- ა) წინდახედულობის მოტივი;
- ბ) სპეკულაციური მოტივი;
- გ) საჭმიანობის მოტივი.

## ამოცანა №1

კომპანიისათვის მასალაზე მოთხოვნა დაახლოებით 600000 ერთეულია წლის განმავლობაში. ერთეული მარაგის შენახვა წლის განმავლობაში 3 ლარი ჯდება. ყოველი შეკვეთის განთავსება იწვევს 40 ლარის დანახარჯებს.

**გავიანგარიშოთ:** რამდენი უნდა შეუკვეთოს კომპანიამ ყოველ ჯერზე

## ამოცანა №2

კომპანია არის ლუდის კასრების საცალო მოვაჭრე. ყოველწლიური მოთხოვნა კომპანიის კასრებზე 30000 ერთეულს შეადგენს. კასრების შეძენა ხდება 5000-იანი პარტიებით და თითოეული კასრის ღირებულება არის 12 ლარი. ახალი პარტიის მოწოდება ხდება დაუყოვნებლივ, ხოლო დანახარჯები თითოეული შეკვეთის გაფორმებასა და მოტანაზე 200 ლარს აღწევს. გათვლილია, რომ ყოველწლიური დანახარჯი ერთი კასრის საწყობში შენახვაზე 1.20 ლარს შეადგენს.

**მოგეთხოვებათ:**

- ა) გამოთვალეთ შეკვეთის ეკონომიური მოცულობა;
- ბ) რა სიხშირით უნდა შეუკვეთოთ, თუ მოტანას სჭირდება ორი კვირა;
- გ) გამოთვალეთ მორიგი შეკვეთის ღირებულება - **ROL**;
- დ) კომპანიას შესთავაზეს 2%-იანი შეღავათი 5000 ერთეულის ან მეტი კასრის შეძენის შემთხვევაში და 2.5%-იანი შეღავათი, თუკი ის ერთ ჯერზე 7500 ან მეტ კასრს შეიძენდა. ამ ინფორმაციის საფუძველზე გამოთვალეთ რომელი შეკვეთა იქნება უფრო ეკონომიური.

### ამოცანა №3

გავიანგარიშოთ ეკვივალენტური მარტივი და რთული წლიური დანახარჯები პროცენტებზე შემდეგი კრედიტორებისათვის: 1.75%-იანი შეღავათი სამი კვირის განმავლობაში გადახდისას; ალტერნატივის სახით – სრული გადახდა უნდა მოხდეს ანგარიშ-ფაქტურის თარიღიდან რვა თვის განმავლობაში. ივარაუდება, რომ წელიწადში 50 კვირაა.

**რჩევა:** იგულისხმება 100 ლარის ანგარიშ-ფაქტურა

### ამოცანა №4

გაერთიანებული სამეფოს ფირმამ გერმანულ მომწოდებელს სამი თვის განმავლობაში უნდა გადაუხადოს. მიმდინარე კურსის შესაბამისად 1 გირვანქა სტერლინგი = 2.67 გერმანული მარკას. მიმდინარე წლიური საპროცენტო განაკვეთი სტერლინგზე არის 10%, ხოლო გერმანულ მარკაზე - 9%. კომპანიას შეუძლია მოახდინოს საკმარისი რაოდენობის სტერლინგების ინვესტირება დღეს, რათა მომავალში მომწოდებლისთვის პროგნოზული სამომავლო კურსით განახორციელოს 20000 გერმანული მარკის გადახდა, ანდა მოახდინოს სტერლინგების მარკებში კონვერტაცია დღეს და საჭირო რაოდენობის მარკების ინვესტირება, რათა გაანაღდოს ანგარიში სამი თვის შემდეგ. სამი თვის შემდგომი სავარაუდო კურსის შესაბამისად 1 გირვანქა სტერლინგი ტოლი იქნება 2,65 გერმანული მარკის.

#### **დავალება:**

გათვლების შედეგად გადაწყვიტეთ:

- ა) რომელი მეთოდის გამოყენება უფრო ხელსაყრელია ფირმისათვის.
- ბ) როგორი გერმანული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში იქნება სულერთი ფირმისათვის, თუ რომელ ხერხს გამოიყენებს?

## ამოცანა №5

კომპანია აწარმოებს ბალის სკამებს, რომელიც იყიდება როგორც ადგილობრივ, ასევე საექსპორტო ბაზარზე. გაყიდვების პროგნოზი მომდევნო წლისათვის შეადგენს 16 მილიონ ლარს, საიდანაც 70% ადგილობრივ ბაზარზე გაიყიდება, ხოლო 30% - საზღვარგარეთ.

ივარაუდება, რომ გაყიდვების მოცულობა მყარი იქნება. ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვების 80% ხორციელდება კრედიტში, 30 დღის შემდგომი გადახდის პირობით. ადგილობრივი მყიდველები საშუალოდ გადახდას 57 დღეში ახორციელებენ. ყველა საზღვარგარეთელი მყიდველი ახორციელებს საწყის სადებოზიტო შენატანს გასაყიდი ფასის 15%-ის ოდენობით.

ყველა საექსპორტო გაყიდვა ხორციელდება კრედიტში 60 დღის განმავლობაში გადახდის პირობით, ხოლო დავალიანების ამოღების საშუალო პერიოდი 75 დღეს შეადგენს. უიმედო ვალები ამჟამად შეადგენს ადგილობრივ ბაზარზე კრედიტით გაყიდვების 0.75%-ს, ხოლო საექსპორტო გაყიდვებზე – 1.25%-ს (საწყისი დებოზიტის გამოკლებით).

კომპანიას სურს მოიკვლიოს სამი შესაძლო ოპერაციული ცვლილებების შედეგები:

- (I) შიდა კრედიტების მართვა შესაძლებელია განხორციელდეს ფაქტორინგული კომპანიის მეშვეობით დაბრუნების უფლების გარეშე. ფაქტორინგული კომპანია ვალების ამოღების მომსახურებას განახორციელებს 1.5%-ად და მოახდენს ფინანსების 80%-ის ამოღების უზრუნველყოფას საბაზისო განაკვეთს (მითითებულია მაგალითში) პლუს 2.5% განაკვეთით. ფაქტორინგის მომსახურებაზე მიმართვა მოგვცემს საწყის წლიურ ეკონომიას 85000 ლარის ოდენობით ადმინისტრაციულ გასავლებზე, მაგრამ გამოიწვევს დაუყოვნებლივი ანგარიშსწორებისათვის გადახდას შტატების შემცირების გამო 15000 ლარის ოდენობით.
- (II) ადგილობრივ ბაზარზე, ფაქტორინგული კომპანიის მომსახურების გამოყენების ალტერნატივის სახით, შეიძლება მყიდველებზე შეთავაზებულ იქნეს შეღავათი (ფასდაკლება) 1.5%-ის ოდენობით, თუ გადახდა განხორციელდება 7 დღეში. მოსალოდნელია, რომ შიდა მყიდველების 40% ისარგებლებს ამ შეღავათით. შეღავათი გაზრდის ადმინისტრაციულ დანახარჯებს 25000 ლარის ოდენობით წელიწადში და ადგილობრივ ბაზარზე კრედიტით გაყიდვებიდან უიმედო დავალიანებებს შეამცირებს 0.5%-მდე.
- (III) შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დამატებითი სარეკლამო კომპანია – საექსპორტო გაყიდვების სტიმულირებისათვის. კომპანიას მიმართა წინადადებით ევროპის თანამგზავრულმა სატელევიზიო კომპანიამ, რომლის წინადადებაა, რომ რეკლამაზე 300000 ლარის დანახარჯვა გაზრდის მომავალი წლის საექსპორტო გაყიდვების 30%-მდე. საექსპორტო გაყიდვების 20%-იანი ზრდის ალბათობა 0.2-ის ტოლია, 25%-იანი გაზრდისა – 0.5 და 30%-იანი გაზრდის ალბათობა – 0.3. წარმოებაზე პირდაპირი დანახარჯები იქნება გასაყიდი ფასის 65%. ადმინისტრაციული გასავლები გაიზრდება 30000, 40000 და 50000 ლარამდე საექსპორტო გაყიდვების შესაბამისად 20%-ით, 25%-ით და 30%-ით გაზრდისას.

საექსპორტო გაყიდვების გაზრდა, მოსალოდნელია, რომ გამოიწვევს საექსპორტო გაყიდვების საკრედიტო ნაწილში ვალების ამოღების საშუალო პერიოდის გაიზრდას 5 დღით და უიმედო ვალების ყველა საექსპორტო კრედიტით გაყიდვებზე გაზრდას 1.5%-ით.

ამჟამად, ბანკის საბაზისო განაკვეთი წლიური 13%-ია და კომპანიას შეუძლია ისესხოს ფინანსები ოვერდრაფტით წელიწადში 15%-ად. უახლოეს მომავალში განაკვეთი არ შეიცვლება.

პასუხის გაცემისას ბეგარა შეგვიძლია უგულებელვყოთ.

## ამოცანა №6

X საშუალო სიდიდის კომპანიაა, რომელიც აწარმოებს და საბითუმო დისტრიბუტორებზე ყიდის ტექნოლოგიურ პროდუქციას. ბოლო დროისათვის მისმა გაყიდვებმა სწრაფად იწყეს გაზრდა ეკონომიკის ზოგადი გამოცოცხლების შედეგად. თუმცა იგი შემფოთებულია თავისი ლიკვიდობის მდგომარეობით და ხელმძღვანელობა ფიქრობს ფულადი სახსრების

ნაკადების შემოდინების გაუმჯობესების გზებზე. ქვემოთ მოყვანილია X-ის ბუღალტრული ანგარიშგებები ბოლო ორი წლისათვის:

**მოგება-ზარალის ანგარიშგება წლისათვის, რომელიც მთავრდება 31 დეკემბერს**

|                           | 20X2<br>ლარი   | 20X3<br>ლარი   |
|---------------------------|----------------|----------------|
| ამონაგები                 | 12000000       | 16000000       |
| გაყიდვების თვითღირებულება | <u>7000000</u> | <u>9150000</u> |
| საოპერაციო მოგება         | 5000000        | 6850000        |
| პროცენტები                | <u>200000</u>  | <u>250000</u>  |
| მოგება დაბეგვრამდე        | 4800000        | 6600000        |
| ბეგარა *                  | <u>1000000</u> | <u>1600000</u> |
| მოგება დაბეგვრის შემდეგ   | 3800000        | 5000000        |
| ღივიდენდ                  | <u>1500000</u> | <u>2000000</u> |
| გაუნაწილებელი მოგება      | <u>2300000</u> | <u>3000000</u> |

\* ცვეთაზე საგადასახადო შედარების შემდეგ.

**ბალანსი 31 დეკემბრისათვის**

|                                 | 20X2          |                  | 20X3          |                  |
|---------------------------------|---------------|------------------|---------------|------------------|
|                                 | ლარი          | ლარი             | ლარი          | ლარი             |
| ძირითადი საშუალებები (წმინდა)   |               | 9000000          |               | 12000000         |
| მოკლევადიანი აქტივები:          |               |                  |               |                  |
| მარაგი                          | 1400000       |                  | 2200000       |                  |
| დებიტორები                      | 1600000       |                  | 2600000       |                  |
| ფულადი სახსრები                 | 1500000       |                  | 100000        |                  |
|                                 |               | 4500000          |               | 4900000          |
| მიმდინარე ვალდებულებები:        |               |                  |               |                  |
| ოვერდრაფტ                       | —             |                  | 200000        |                  |
| სავაჭრო კრედიტორები             | 1500000       |                  | 2000000       |                  |
| სხვა კრედიტორები                | <u>500000</u> |                  | <u>200000</u> |                  |
|                                 |               | (2000000)        |               | (2400000)        |
| 10%-იანი სავალსო ვალდებულება    |               | <u>(2000000)</u> |               | <u>(2000000)</u> |
| წმინდა აქტივები                 |               | <u>9500000</u>   |               | <u>12500000</u>  |
| ჩვეულებრივი აქციები (0,50 ლარი) |               | 3000000          |               | 3000000          |

|                         |                |                 |
|-------------------------|----------------|-----------------|
| მოგება-ზარალის ანგარიში | <u>6500000</u> | <u>9500000</u>  |
| საკუთარი კაპიტალი       | <u>9500000</u> | <u>12500000</u> |

კომპანია განიხილავს ვალების ამოღების დაჩქარების ორ ალტერნატიულ მეთოდს.

- 1) ერთ-ერთი ვარიანტია – შევთავაზოთ 2%-იანი შეღავათები კლიენტებს, რომლებიც დათანხმდებიან ანგარიშების განაღდებას 10 დღის განმავლობაში და არა ჩვეულებრივ შეთავაზებულ 30 დღეში. ივარაუდება, რომ კლიენტების 50% ისარგებლებს ამ წინადადებით.
- 2) მეორე ვარიანტი – კომპანიას შეუძლია გამოიყენოს ფაქტორინგული კომპანიის მომსახურება. ფაქტორინგორული კომპანია იმუშავებს პრინციპით: ”ფაქტორინგი გადახდით” მხოლოდ კომპანია X-ის კლიენტებიდან ვალების ადმინისტრირებისა და ამოღების მომსახურების წარდგენით. შედეგად, ივარაუდება ადმინისტრაციული დანახარჯების ეკონომიის მიღება 100000 ლარის ოდენობით წელიწადში, ასევე არის იმედი, რომ ეს შეამცირებს დებიტორული დავალიანებების დღეებს საშუალოდ 45 დღემდე. ფაქტორინგული კომპანია მიიღებს მომსახურებისათვის გადასახადს კომპანია X-ის ბრუნვის 15%-ის ოდენობით. კომპანია X-ს შეუძლია აიღოს სესხი თავისი ბანკიდან წელიწადში 18%-იანი განაკვეთით.

#### მოგეთხოვებათ:

- (ა) განვსაზღვროთ X-ის ლიკვიდობის მკვეთრი შემცირების მიზეზები და შევაფასოთ რამდენად სამართლიანი იქნება შეხედულება იმის შესახებ, რომ კომპანიას პრობლემები გააჩნია კრედიტში გაყიდვების ძალზედ გაზრდის მიზეზით.  
  
ვაჩვენოთ ჩვენი პასუხი კომპანია X-ს ანგარიშებების საფუძველზე გაანგარიშებული სამიანობისა და ლიკვიდობის ძირითად მაჩვენებლებზე დაყრდნობით.
- (ბ) განვსაზღვროთ შესაბამისი დანახარჯები და უპირატესობანი მოვალეების რაოდენობის შემცირების ორივე მეთოდისათვის და რეკომენდაცია გავუწიოთ შესაბამის პოლიტიკას.